ოქმი №3

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მეორე სხდომისა

ქუთაისი, 2022 წლის 29 მარტი, 16 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
კომისიის სამუშაო ოთახი, N401 (საკრებულოს სხდომათა დარბაზი)
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **მ.ნიჟარაძე, გ. ბრეგაძე, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, გ.ბასილაძე, გ.მახარაძე, ლ.სანიკიძე, ე.არჩაია, კ.გურული, პ.ლილუაშვილი,**

სულ: კომისიის 11 წევრი.

არ ესწრებოდა: დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, დ.ფხაკაძე, რ.ქვაჩაკიძე, ი.შენგელია, მ.სიმონიძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი ბატონი დ.ნიშნიანიძე.

კომისიის სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წლური ანგარიშის განხილვის შესახებ“.

   /ა.კოპალეიშვილი,
   დ.ნიშნიანიძე/

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

   /ა.კოპალეიშვილი,
   დ.ნიშნიანიძე/

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დოკუმენტის „მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის 2021 წლის ანგარიშის“ განხილვა

   /ა.კოპალეიშვილი/

4. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „დღის წესრიგის მიხედვით მივყვეთ საკითხების განხილვას. ვთხოვოთ ბატონ დ.ნიშნიანიძეს წარმოგვიდგინოს ინფორმაცია 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

1. **მოისმინეს:** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის ბატონი **დ.ნიშნიანიძის** ინფორმაცია: „წარმოდგენილი ანგარიში შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებს. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 30 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N167 დადგენილებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 7 ცვლილება და წლის ბოლოს 92 088.4 ათასი ლარი შეადგინა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 75 094.4 ათასი ლარი შეადგინა, გეგმა განსაზღვრული იყო 78056.4 ათასი ლარით (გეგმის 96%). ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა 79 717,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 84%-ია.

პანდემიით გამოწვეული პრობლემების მიუხედავად, მერიის მიერ დაფინანსდა საბიუჯეტო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები, შესრულდა ქალაქის ინფრასტრუქტურისა და სოციალურ სფეროებში არსებული ძირითადი ვალდებულებები“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ინფრასტრუქტურული პროექტები ყველა დაფინანსდა?“

დ.ნიშნიანიძე: „დიახ, რაიმე სახის შეფერხება არ ყოფილა. ცხადია გარდამავალი პროექტები მიმდინარე წელს გადმოვიდა“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ქონების და დღგ-ის გადასახადებთან მიმართებით როგორაა მდგომარეობა 2021 წლის ფაქტიურ მაჩვენებლებსა და 2022 წლის გეგმიურს შორის?“

დ.ნიშნიანიძე: „როგორც მოგეხსენებათ, გადასახადების პროგნოზირებულ მაჩვენებლებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს განუსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც, ასევე ახორციელებს გადასახადების ადმინისტრირებას ბიუჯეტში. 2021 წელს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 39,8 მლნ ლარი, ხოლო ქონებიდან - 12,7 მლნ.ლარი. 2022 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 44 მლნ.ლარს და 12 მლნ.ლარს.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ვრჩები იმ აზრზე, რომ თვითმმართველობა აღარ არსებობს და სამინისტრო გვიგეგმავს ბიუჯეტს. მე ადრეც განვაცხადე, რომ უნდა გვქონდეს მამობილიზებელი ორგანო, რომელიც ამას გააკეთებს. დამერწმუნეთ, ადრე თუ გვიან დღის წესრიგში მაინც დადგება ასეთი ორგანოს შექმნის საკითხი“.

დ.ნიშნიანიძე: „დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ცენტრალურ ხელისუფლებასა და თვითმმართველობებს შორის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დღგ-ს განაწილებით მიღებულ სახსრებს. მაშინ ჩვენ უნდა მოგვცენ დელეგირება ამოღების ადმინისტრირებაზეც. ამჟამად ისინი ამას კომპეტენტურად უძღვებიან. თუმცა, მოგეხსენებათ, მიმდინარეობს მუშაობა დეცენტრალიზაციაზე“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ხარჯები რამდენი პროცენტით შესრულდა?

დ.ნიშნიანიძე: „ხარჯები 92%-ით შესრულდა, რაც ნაწილობრივ გარდამავალმა პროექტებმაც განაპირობა, რომლებიც 2022 წელს გაგრძელდება".

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „თუ დამატებითი შეკითხვები არ გაქვთ, წინადადებით შემოვდივარ 2021 წლის ბიუჯეტის დამაკმაყოფილებლად შესრულებას კენჭი ვუყაროთ".

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე 9, თავი შეიკავა - 2.**

დაადგინეს: 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „წარმოდგენილია მეორე ცვლილება ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში, რომელიც ძირითადად რგფ-დან თანხების მიღებამ და შიგამუხლობრივმა ცვლილებებმა განაპირობა. მინდა საკითხების დეტალურად წარმოდგენის მიზნით სიტყვა გადავცე ბატონ დავით ნიშნიანიძეს.

2. მოისმინეს: ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის ბატონი **დ.ნიშნიანიძის** ინფორმაცია 2022 წლის ბიუჯეტში მეორე ცვლილების შესახებ. წარმოდგენილ ცვლილებას საფუძვლად უდევს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულება და საქართველოს მთავრობის N75 განკარგულება, რომელთა შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდა 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესაბამის პროგრამულ კოდებზე. ცვლილების საერთო მოცულობამ 9735,3 ათასი ლარი შეადგინა. ცვლილების შედეგადაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 115 798,6 ათას ლარს (თან ერთვის სრული ინფორმაცია).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „ბიუჯეტის ცვლილების გამარტივებული ფორმის პირველ პუნქტში დაფიქსირებულია ჯამური თანხა 9735 ათასი ლარი. როგორ გადანაწილდა ეს თანხა, რომ განმარტოთ".

დ.ნიშნიანიძე: „თანხის ძირითადი ნაწილი მიმართული იქნება მიკროსატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (1464,4 ათასი ლარი), პირველი სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციაზე (1630,7 ათასი ლარი), გზების რეაბილიტაციაზე (2318 ათასი ლარი), გამწვანებისა და სკვერების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებზე (2657,1 ათასი ლარი). განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებ მუხლზე „ბიზნესის ხელშეწყობა - 72 ათასი ლარი. მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველობას შეუძლია ბიზნესის პირდაპირი მხარდაჭერა მოახდინოს, რასაც ადრე ვერ ახერხებდა. ჯამში 150 ათასი ლარი საშუალებას მოგვცემს 10 პროექტი დაფინანსდეს, თითოეული 15 ათასი ლარის ფარგლებში. უახლოეს დღეებში ქალაქის ეკონომიკის სამსახური შესაბამის დოკუმენტაციასაც წარმოადგენს მისი გაცემის წესის შესახებ".

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ამ მუხლის შესახებ ვიკითხე ბიუჯეტის დამტკიცებისას და მიპასუხეს, რომ ეს იყო ვიზიტების და ბიზნეს-ფორუმების თანხა. ეტყობა შემდეგ შეიცვალა მიდგომა. შემცირებები რა მიმართულებებს შეეხო?".

დ.ნიშნიანიძე: „თავისუფალი ინიციატივების დაფინანსება შემცირდა 41,9 ათასი ლარით, რაც სატენდერო ეკონომიით არის განპირობებული. ასევე ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა-რეკონსტრუქცია შემცირდა 100 ათასი ლარით, რამდენადაც ჯერჯერობით არ გვაქვს პროექტები".

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „ცვლილების მასალა წინასწარ დაგვირიგდა. თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ საბიუჯეტო ცვლილებას 2022 წლის ბიუჯეტში კენჭი ვუყაროთ".

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 9, **თავი შეიკავა** - 2.

დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას წარმოდგენილი ცვლილებები.

3. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის **ა.კოპალეიშვილის** ინფორმაცია დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა სახელმწიფო აუდიტის დოკუმენტი **„მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის 2021 წლის ანგარიში".** ეს დოკუმენტი თქვენ მოგეწოდათ.

2014-2019 წლებში მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტების შედეგად რიგი ხარვეზები და დარღვევა-ნაკლოვანებები გამოვლინდა მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვაში. არსებული პრობლემების გათვალისწინებით, საკითხის მთელი ქვეყნის მასშტაბით შესწავლა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა, მნიშვნელოვანია ა(ა)იპ-ების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად.

პოზიტიურ მომენტად დასახელდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთ სტრუქტურაში გაერთიანების პრაქტიკა. კერძოდ, თავდაპირველად მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღები ცალკე იურიდიულ პირებად დაარეგისტრირეს, ყველას ჰქონდა დამოუკიდებელი ადმინისტრაცია და თვითონ განსაზღვრავდა ბაღის მართვის პოლიტიკას. ამ ტიპის დაწესებულებების გაერთიანებით მუნიციპალიტეტებში ჩამოყალიბდა ერთი ა(ა)იპ, რომელსაც მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქვს სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიწოდების ერთგვაროვანი პრაქტიკა. აღნიშნულმა პროცესმა გაამარტივა ბაღების მართვა, შესაძლებელი გახადა ყველა დაწესებულებაში ერთიანი პოლიტიკის გატარება და შეამცირა ადმინისტრაციული ხარჯები.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ **თბილისის და ქუთაისის გამოცდილება** სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის მიზნით შექმნილი ა(ა)იპ-ების ერთ ორგანიზაციად გაერთიანების შესახებ, რაც ამცირებს ადმინისტრაციულ დანახარჯებს და დაწესებულებების მართვას უფრო ეფექტიანს ხდის, ასევე **პოზიტიურად იქნა მიჩნეული.** სახელმწიფო აუდიტის დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ მხრივ თბილისის და ქუთაისის გამოცდილება შესაძლებელია სხვა მუნიციპალიტეტებმაც გაიზიარონ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით, მუნიციპალიტეტებში არსებული პრაქტიკა ცალკე იურიდიულ პირად რეგისტრირებული ბაღების გაერთიანების, ასევე ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული იურიდიული პირების ერთიანი მართვის სისტემაში მოყვანის შედეგად მიღწეული შედეგები, ადასტურებენ იმას, რომ მსგავსი პრაქტიკის დანერგვა შეამცირებს ორგანიზაციების ადმინისტრაციულ დანახარჯებს.

ასევე, ა(ა)იპ-ების საქმიანობაზე კონტროლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია იურიდიული პირებისთვის ზუსტად განისაზღვროს დასახული მიზნები და შესასრულებელი ამოცანები, რათა გაზომვადი კრიტერიუმებით იყოს შესაძლებელი ა(ა)იპ-ის საქმიანობის შეფასება. ამასთანავე, ორგანიზაციების დაფინანსება უნდა ხორციელდებოდეს დასახული მიზნების შესაბამისად, შესრულებული გათვლების საფუძველზე. სათანადო კონტროლის სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას და მუნიციპალური ფინანსების ეფექტიან ხარჯვას.

მიგვაჩნია, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების მიერ უნდა გაგრძელდეს გაწეული საქმიანობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ანგარიშების განხილვის პრაქტიკა. ანგარიშების ფორმალურად წარმოდგენის გამორიცხვის მიზნით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ, ყურადღება მიექცეს გაწეული საქმიანობის თაობაზე შედგენილ ანგარიშებში ფინანსური რესურსების ხარჯვის დასაბუთების, მიმდინარე პერიოდში წარმოქმნილი პრობლემების, დაგეგმილი მაჩვენებლების, პროგრამებისა და დავალებების შეუსრულებლობის მიზეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დასახული ამოცანების შესრულების მაჩვენებლებისა და მიღწეული შედეგების ასახვას

გთავაზობთ მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, 2021 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში".

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე 9, თავი შეიკავა - 2.**

დაადგინეს: სახელმწიფო აუდიტის ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ.

ამით, საკრებულოს კომისიის მესამე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ამირან კოპალეიშვილი